დამტკიცებულია 2013 წლის 14 ივნისის #29-13 ოქმით;
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის N 3/24 ოქმით

სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების დებულება

მუხლი 1. მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარების კომისია

1. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენასა და შესაბამისი კრედიტების აღიარებას უზრუნველყოფს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების კომისია (შემდეგში კომისია).

3. კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს წინამდებარე დებულების, უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

4. კომისიას ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. კომისიის შემადგენლობაში შედის: სკოლის დირექტორი, ხოლო დსპ-ს შემთხვევაში აკადემიური დეკანი და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მენეჯერი.

5. კომისია ყველა განაცხადს განიხილავს ინდივიდუალურად და განსაზღვრავს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. ამისათვის განაცხადის ინდივიდუალური მიდგომიდან გამომდინარე აყალიბებს იმ პირთა ჯგუფს, ვინც განსაზღვრავს სწავლის შედეგების თავსებადობას.

6. სწავლის შედეგების თავსებადობის მსურველი წერს განცხადებას MY UG-ის საშუალებით. სასწავლო პროცესის ადმინსტრირების სამსახურის მენეჯერი ახდენს განცხადებების ადმინისტრირებას და ხარისხის სამსახურის უფროსთან ერთად იწყებს კომისიის ფორმირებას.

7. სწავლის შედეგების თავსებადობის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის პროცესი განისაზღვრება საკითხის სპეციფიკის, სირთულისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე.

მუხლი 2. ევროპული კრედიტების ტრანფერის სისტემა

1. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.

2. კომისია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშებს სტუდენტის დატვირთვას კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

3. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საიდანაც გადმოდის სტუდენტი იყენებს კრედიტების მინიჭების ECTS-გან განსხვავებულ სისტემას, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც განმარტებული იქნება ამ სისტემის ECTS სისტემასთან შესაბამისობა ან ინფორმაცია თითოეული სასწავლო კურსის მოცულობის შესახებ, გაანგარიშებული დროით ერთეულში (კვირა, სააათი).

დამტკიცებულია 2013 წლის 14 ივნისის #29-13 ოქმით;
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის N 3/24 ოქმით

მუხლი 3. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების წესი

1. საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარება რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. აღიარებას ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კრედიტების აღიარების კომისია განიხილავს ისეთ განაცხადებსაც, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება.
4. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა დგინდება სტუდენტის მიერ ჩაბარებული კომპონენტების სილაბუსების (სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების) ანალიზის საფუძველზე ან/და გამოცდის საფუძველზე.
5. სილაბუსის ქვეშ იგულისხმება უმაღლესი განათლების სფეროში მარეგულირებელი ნორმების ლოგიკის შესაბამისად შედგენილი სილაბუსები ან ისეთი საბუთი, რომელიც ადასტურებს კონკრეტული პროგრამის კომპონენტის შინაარსს და კომისიისთვის შესაძლებელია შესწავლა და დასკვნების გამოტანა დადარებისთვის.
6. კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს გამოცდის ჩაბარება, თუ სილაბუსის ანალიზის საფუძველზე ვერ დგინდება სწავლის შედეგების თავსებადობა.
7. გამოცდა ინიშნება ისეთ შემთხვევაში თუ შეუძლებელია სილაბუსის ან მისი ექვივალენტური საბუთის წარმოდგენა. კომისია თითოეული განაცხადის მიხედვით, ინდივიდუალური მიდგომით, სპეციფიკის გათვალისწინებით ადგენს გამოცდის ფორმატს, გამომცდელთა ჯგუფს და კრიტერიუმებს, ხოლო გამოცდის თემატიკა განისაზღვრება იმ სკოლის მიერ (დსპ-ს შეთხვევაში აკადემიური დეკანის მიერ), რომელ სკოლასაც ეკუთვნისშესაბამისი საგანი.
8. გამოცდ(ებ)ის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 1 კვირას.
9. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს რექტორთან კანონდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 25 ივნისის 23/12 ოქმით დამტკიცებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების დებულება.